პროექტი

01.03.

საქართველოს მთავრობის

დადგენილება N

2024 წლის .....

ქ.თბილისი

სურსათის შეწირულობისა და გადანაწილების წესი

მუხლი 1.

„სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „სურსათის დანაკარგებისა და მისი ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს „სურსათის შეწირულობისა და გადანაწილების წესი“ თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის წლის პირველი იანვრიდან.

DRAFT

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**

სურსათის შეწირულობისა და გადანაწილების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სურსათის შეწირულობისა და გადანაწილების წესი (შემდგომში – წესი) არეგულირებს ჭარბი სურსათის შეწირულობისა და გადანაწილებისათვის სავალდებულო პირობებს და სურსათის შეწირულობასთან, აღდგენასა და გადანაწილებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

2. გარდა ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნებისა, სურსათის შეწირულობა და გადანაწილება რეგულირდება საქართველოს კანონებით „სურსათის დანაკარგებისა და მისი ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულობის შესახებ“, „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის შესახებ“ და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით.

მუხლი 2. მიზანი და გამოყენების სფერო

1. ეს წესი მიზნად ისახავს სურსათის შეწირულობასთან და გადანაწილებასთან დაკავშირებული ურთიერთობების რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას.

2. ეს წესი ადგენს:

ა) სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს სურსათის გადანაწილებისთვის, რაც მოიცავს სურსათის შეწირულებას, აღდგენას, შენახვასა და გადანაწილებას;

ბ) სურსათის ჰიგიენის წესებს;

გ) იმ სურსათის ჩამონათვალს, რომლის გამოყენება და გადანაწილება დასაშვებია;

დ) სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილეების მიერ ჭარბი სურსათის ერთმანეთისთვის გადაცემას;

ე) მიკვლევადობის მოთხოვნებს;

ვ) იმ სურსათის მიმართ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების პროცედურებს, რომელსაც გასული აქვს ვარგისობის მინიმალური ვადა – „უმჯობესია გამოყენებულ იქნეს ...-მდე“.

3. ამ წესით დადგენილი მოთხოვნები ვრცელდება ბიზნესოპერატორზე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად ავტორიზებულია სურსათით საქველმოქმედო საქმიანობაზე.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტებები

ამ წესის მიზნებისათვის გამოიყენება „სურსათის დანაკარგებისა და მისი ნარჩენების შემცირების და სურსათის შეწირულობის შესახებ“ , „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონების და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ტერმინები.

მუხლი 4. ზოგადი მოთხოვნები

1. სურსათის მიწოდების ჯაჭვში მონაწილე ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი წარმოადგენს ბიზნესოპერატორს, რომელიც ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს შესაბამისი საქმიანობის რეგისტრაცია ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრში.

2. სურსათის შეწირულობა და სურსათის გადანაწილება ხორციელდება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ავტორიზებული პირის მიერ, სურსათის ბაზარზე განთავსებით და უსასყიდლოდ მიწოდებით.

მუხლი 5. სურსათის უვნებლობის მოთხოვნები

1.სურსათის მიწოდების ჯაჭვში მონაწილე ყველა ბიზნესოპერატორი, თავისი საქმიანობის ფარგლებში, ვალდებულია უზრუნველყოს სურსათის უვნებლობა კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

2.დაუშვებელია სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილის მიერ ისეთი სურსათის შეწირულობა და გადანაწილება, რომელიც ვერ აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ უვნებლობის მოთხოვნებს და რისკს უქმნის ადამიანის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.

3.სურსათის შეწირულობისა და სურსათის გადანაწილებისათვის განკუთვნილი სურსათი, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მიზანშეწონილი უნდა იყოს ადამიანის მიერ მოხმარებისათვის.

4. სურსათის აღდგენისა და ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მიზანშეწონილობის დასადგენად გათვალისწინებული უნდა იქნეს, თუ რამდენად დასაშვებია ადამიანის მიერ სურსათის დანიშნულებისამებრ გამოყენება მისი დაბინძურების, დაობების, ლპობის ან მასზე გარეგნული დაზიანების ნიშნების არსებობის გამო.

5.თუ სურსათი მავნეა, ამ სურსათის მთელი პარტია მავნედ მიიჩნევა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა პარტიის დეტალური შემოწმებისას დადასტურდება, რომ პარტიის დანარჩენი ნაწილი აკმაყოფილებს სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს.

მუხლი 6. სურსათის ჰიგიენის წესები

1.სურსათის მიწოდების ჯაჭვში მონაწილე ყველა ბიზნესოპერატორი, თავისი საქმიანობის ფარგლებში, ვალდებულია ჭარბი სურსათის შეგროვება, შენახვა, აღდგენა და გადანაწილება განახორციელოს საქართველოს მთავრობის დადგენილება №173-ით ტექნიკური რეგლამენტების – „სურსათის ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე“ და საქართველოს მთავრობის დადგენილება №90-ით ტექნიკური რეგლამენტის – „ცხოველური წარმოშობის სურსათის ჰიგიენის სპეციალური წესის შესახებ“ განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

2. აუცილებლობის შემთხვევაში, გადასაზიდი საშუალებები, ასევე კონტეინერები და შესანახი ჭურჭელი უნდა უზრუნველყოფდეს ტრანსპორტირებისას სურსათისათვის საჭირო ტემპერატურის შენარჩუნებასა და მათი მონიტორინგის საშუალებას.

მუხლი 7. სურსათის ჩამონათვალი, რომლის გამოყენება და გადანაწილება დასაშვებია.

1. სურსათის შეწირულობის სახით გამცემი ავტორიზებული პირის მიერ სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციისათვის/სურსათის ბანკისათვის ან ბენეფიციარისათვის უსასყიდლოდ გადაცემას ექვემდებარება შემდეგი სურსათი:

ა) დაფასოებული სურსათი, რომლის ვარგისიანობის მინიმალური ვადა, საქართველოს მთავრობის დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ თანახმად, მითითებულია შემდეგი სახით - „უმჯობესია გამოყენებული იქნეს...მდე“ და ეს ვადა გასულია;

ბ) დაფასოებული სურსათი, რომლისთვისაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ვარგისიანობის მინიმალური ვადის განსაზღვრა არ არის სავალდებულო;

გ)დაუფასოებელი სურსათი, რომლისთვისაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ვარგისიანობის მინიმალური ვადის განსაზღვრა არ არის სავალდებულო და რომლის ფიზიკური დათვალიერება, ორგანოლეპტიკური შეფასება, დახარისხება და დაფასოება შეიძლება განხორციელდეს უშუალოდ ბენეფიციარისათვის გადაცემის წინ.

2. სურსათის შეწირულობას და სურსათის გადანაწილებას ექვემდებარება ამ წესის დანართით - „სურსათის შეწირულობისთვის და სურსათის განაწილებისთვის განკუთვნილი სურსათის რეკომენდებული ჩამონათვალი“ განსაზღვრული სურსათი.

3.ბენეფიციარისათვის ან სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციისათვის/სურსათის ბანკისათვის უსასყიდლოდ გადაცემას არ ექვემდებარება:

ა)ალკოჰოლური სასმელები;

ბ)ოჯახური წარმოების სუბიექტის მიერ წარმოებული სურსათი;

გ)ვარგისიანობის მინიმალური ვადის „უმჯობესია გამოყენებული იქნეს....მდე“ მქონე სურსათი, რომლის სამომხმარებლო შეფუთვის მთლიანობა შეცვლილია ისე, რომ ამან შეიძლება გავლენა იქონიოს სურსათის უვნებლობაზე;

დ)სურსათი, რომლის ეტიკეტზე, სურსათის შესახებ სავალდებულო ინფორმაცია არ შეესაბამება საქართველოს მთავრობის დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტის - მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების თაობაზე დამტკიცების შესახებ“ დადგენილ მოთხოვნებს.

4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული სურსათის საწყისი ვარგისიანობის მინიმალური ვადა „უმჯობესია გამოყენებული იქნეს....მდე“ თვალსაჩინოდ უნდა იქნეს განთავსებული უშუალოდ შეფუთვაზე ან მასზე მიმაგრებულ ეტიკეტზე.

5. ამ მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნების შესრულებაზე პასუხისმგებელია ავტორიზებული პირი.

მუხლი 8. სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილეების მიერ ჭარბი სურსათის გადაცემა

1.სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილეების მიერ ჭარბი სურსათის ერთმანეთისთვის გადაცემა უნდა განხორციელდეს ამ წესისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

2.სურსათის მიწოდების ჯაჭვის მონაწილეს უფლება აქვს, სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციას/სურსათის ბანკს ან უშუალოდ ბენეფიციარს გადასცეს ჭარბი სურსათი შეწირულების სახით, თუ სურსათი ვარგისია ადამიანის მიერ მოხმარებისთვის და აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს.

3.სურსათის შეწირულობის სახით გამცემი პირი ვალდებულია შეწირული სურსათის მიმღებ სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციას/სურსათის ბანკს მიაწოდოს ჭარბი სურსათი ამ წესის მე-7 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

4.სურსათის შეწირულობის სახით გამცემი პირი ვალდებულია სურსათის მიმღებ სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციას/სურსათის ბანკს მიაწოდოს სურსათი,

ა)რომლის სამომხმარებლო შეფუთვის/დაფასოების მთლიანობა არ არის დარღვეული ან/და შეცვლილი ისე, რომ ამან შეიძლება გავლენა იქონიოს სურსათის უვნებლობაზე;

ბ)რომელიც ინახებოდა ბიზნესოპერატორის მიერ განსაზღვრულ ტემპერატურაზე და შენახვის პირობებში;

გ) რომელიც მიზანშეწონილია ადამიანის მიერ მოხმარებისათვის.

5. სურსათის შეწირულობის სახით გამცემი პირი ვალდებულია სურსათის მიმღებ სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციას/სურსათის ბანკს მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია ჭარბ სურსათთან დაკავშირებულთ, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად, ეტიკეტის ან სხვა თანმხლები მასალის საშუალებით.

6. გარდა ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა, სურსათის შეწირულობის სახით გამცემი პირი ვალდებულია სურსათის მიმღებ სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციას/სურსათის ბანკს მიაწოდოს ინფორმაცია ჭარბის სურსათის ზუსტი რაოდენობის შესახებ.

7. სურსათის შეწირულობის სახით გამცემი პირი ვალდებულია სურსათის მიმღებ სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციას/სურსათის ბანკს საჭიროების მიხედვით მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციის/სურსათის ბანკის საქმიანობას.

8.სურსათის შეწირულობის მიმღები სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაცია/სურსათის ბანკი, უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

9. სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციას/სურსათის ბანკს უფლება აქვს, მიიღოს ჭარბი სურსათი შეწირულების სახით, აღადგინოს ის და გადაუნაწილოს სხვა სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაციებს/სურსათის ბანკებს ან მიაწოდოს უშუალოდ ბენეფიციარს, თუ სურსათი ვარგისია ადამიანის მიერ მოხმარებისთვის და აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს.

10.სურსათის შეწირულობის მიმღები სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაცია/სურსათის ბანკი, სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფისათვის, ვალდებულია შემუშავებული ჰქონდეს თვითკონტროლის გეგმა, რომელშიც მოცემული იქნება სურსათის შეწირულობასთან და სურსათის გადანაწილებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედება.

11.სურსათის შეწირულობის მიმღები სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაცია/სურსათის ბანკი, ვალდებულია შეიმუშაოს და დაამტკიცოს ყოველწლიური სამოქმედო გეგმა.

12.შეწირული სურსათის მიმღები სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაცია/სურსათის ბანკი, ვალდებულია დაათვალიეროს ჭარბი სურსათი, რათა შეძლებისდაგვარად შეფასებული იქნეს სურსათის ხარისხობრივი მდგომარეობა, რისთვისაც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთერთი მეთოდი:

ა) დესტრუქციული მეთოდი (მაგ. შეფუთვის გახსნა, სენსორული ანალიზი და ა.შ.)

DRAFT

ბ) არადესტრუქციული მეთოდი (მაგ. ტემპერატურის ჩანაწერები, სურსათის ვიზუალური დათვალიერება, კონდენსატის არსებობა, კონსისტენციის/ტექსტურის ცვლილება, შეფერილობის ცვლილება, შეფუთვის მთლიანობა და ა.შ.).

13. სურსათის აღდგენის მიზნით, დასაშვებია სურსათის მიმღები სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაცია/სურსათის ბანკის მიერ, სურსათის ფიზიკური დათვალიერება (მათ შორის შეფუთვის დარღვევით) ორგანოლეპტიკურ შეფასება და დახარისხება, რომლის დროსაც დეტალური შემოწმებისას შესაძლებელია დადასტურდეს, რომ სურსათის ნაწილი აკმაყოფილებს სურსათის უვნებლობის მოთხოვნებს და მიზანშეწონილია ადამიანის მიერ მისი მოხმარება.

14. ამ მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრული სურსათის დახარისხებისას, სურსათის ნარჩენები საჭიროების მიხედვით, უნდა იყოს გატანილი იმ სათავსებიდან, რომლებშიც სურსათია განთავსებული, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი დაგროვება. სურსათის ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს „ნარჩენების მართვის კოდექსისა“ და „სურსათის დანაკარგებისა და მისი ნარჩენების შემცირებისა და სურსათის შეწირულობის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

15. შეწირული სურსათის მიმღები სურსათის საქველმოქმედო ორგანიზაცია/სურსათის ბანკი, ვალდებულია უზრუნველყოს ბინზესოპერატორის მიერ დადგენილი სურსათის შენახვის პირობების და ტემპერატურის დაცვა.

მუხლი 9. მიკვლევადობის მოთხოვნები

1.სურსათის შეწირულობისა და სურსათის გადანაწილებისათვის განკუთვნილი სურსათი, სურსათის მიწოდების ჯაჭვში უნდა იყოს მიკვლევადი და აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მიკვლევადობის მოთხოვნებს.

2. მიკვლევადობის განსახორციელებლად აუცილებელია სურსათის მიწოდების ჯაჭვში მონაწილე ყველა ბიზნესოპერატორს ჰქონდეს სათანადო ინფორმაცია, აწარმოებდეს შესაბამის დოკუმენტაციასა და ჩანაწერებს, რისთვისაც მას შემოღებული უნდა ჰქონდეს სათანადო სისტემები და პროცედურები.

მუხლი 10. სახელმწიფო კონტროლი

1. იმ სურსათის მიმართ სახელმწიფო კონტროლი, რომელსაც გასული აქვს ვარგისობის მინიმალური ვადა – „უმჯობესია გამოყენებულ იქნეს ... - მდე“

ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

2. ჭარბი სურსათი, რომელსაც გასული აქვს ვარგისობის მინიმალური ვადა – „უმჯობესია გამოყენებულ იქნეს ... - მდე“ დაშვებულია გამოყენებული იქნეს სურსათის შეწირულობისა და განაწილებისათვის, თუ ამ წესის დანართით განსაზღვრული შეფასების რეკომენდებული მეთოდების გამოყენებისას, არ აღენიშნებათ ნიშნები, რომელთა არსებობისას დაუშვებელია სურსათის შეწირულობისთვის გამოყენება.

დანართი

სურსათის შეწირულობისთვის და სურსათის განაწილებისთვის განკუთვნილი სურსათის რეკომენდებული ჩამონათვალი

N	სურსათის კატეგორია	ნიშნები, რომელთა არსებობისას დაუშვებელია სურსათის შეწირულობისთვის გამოყენება	რეკომენდებული შეფასების მეთოდი
1.	მაკარონის ნაწარმი	ლპობის გემო და სუნი, მავნებლებით დასნებოვნება	სენსორული ანალიზი, ვიზუალური დათვალიერება
2.	ჩაი, ყავა, კაკაო და სხვა მსგავსი პროდუქტები, სასმელების მოსამზადებლად	შეცვლილი სუნი და გემო, მავნებლებით დასნებოვნება	სენსორული ანალიზი, ვიზუალური დათვალიერება
3.	მარცვლოვნები (ხორბალი, ქერი, შვრია, ჭვავი, ფეტვი, სიმინდი, ბრინჯი, სორგო, ღომი, ფეტვი) და ფსევდომარცვლოვნები (წიწიბურა, ქინოა, ამარანტი) და მათგან	მაღალი სინესტე, ობის და შმორის სუნი, მავნებლებით დასნებოვნება	სენსორული ანალიზი, სინესტის მასური წილის განსაზღვრა

	მიღებული პროდუქტები, სახამებელი		
4.	კანფეტი (მაგარი), შოკოლადი შიგთავსის გარეშე	მავნებლებით დასნებოვნება	სენსორული ანალიზი, ვიზუალური დათვალიერება
5.	სიროფი, თაფლი	-	
6.	დაფასოებული უალკოჰოლო სასმელები, დაფასოებული წვენები, დაფასოებული წყალი	შეცვლილი სუნი და გემო, დაზიანებული შეფუთვა	სენსორული ანალიზი, ვიზუალური დათვალიერება
7.	დაკონსერვებული სურსათი (მინის და ალუმინის ქილებში)	დაზიანებული შეფუთვა	ვიზუალური შეფასება
8.	ძმარი	სიმღვრივე, ლორწო, ლექი	ვიზუალური შეფასება
9.	სუფრის მარილი	-	-
10.	ახალი ხილი და ბოსტნეული, მათ შორის კარტოფილი, რომელიც არ დაექვემდებარა გაფცქვნას, დაჭრას ან სხვა მსგავსი სახით დამუშავებას	ლპობის ნიშნები, ობის სოკო	ვიზუალური შეფასება
11.	შაქარი (ფხვნილის ან ნატეხების სახით)	-	-
12.	საღეჭი რეზინი და სხვა მსგავსი პროდუქტები	-	-
13.	საკონდიტრო ნაწარმი, რომლებიც პრაქტიკულად სრულად შედგება არომატიზებული ან/და შეღებილი შაქრებისაგან	-	-
14.	პურფუნთუშეული და ფქვილოვანი საკონდიტრო ნაწარმი, რომლებიც მათი შემადგენლობის გათვალისწინებით, მოიხმარება წარმოებიდან 24 საათის განმავლობაში	სინესტე, გემოსა და ფერის ცვლილება, მავნებლებით დასნებოვნება	სენსორული ანალიზი, ვიზუალური შეფასება

DRAFT

15.	სხვადასხვა მარცვლოვნების და ფსევდომარცვლოვნების ფქვილი	სინესტე, გემოსა და ფერის ცვლილება, მავნებლებით დასნებოვნება	ვიზუალური შეფასება, სენსორული ანალიზი
16.	სოუსები, ტოპინგები, სანელებლები (კეტჩუპი, ტყემალი, აჯიკა, მდოგვი, და მსგავსი პროდუქტები)	სუნისა და გემოს ცვლილება, დაზიანებული შეფუთვა	სენსორული ანალიზი, ვიზუალური შეფასება,
17.	ზეთი	სიმწარე, თავისუფალი მჟავების მაღალი შემცველობა	ლაბორატორიული გამოკვლევა
18.	ორცხობილა, ყოველგვარი მალფუჭებადი შიგთავსის გარეშე	შეცვლილი სუნი და გემო, მავნებლებით დაბინძურება	სენსორული ანალიზი, ვიზუალური შეფასება
19.	მარცვლოვნების და ფსევდომარცვლოვნების ბურღულეული, ჩიპსები და სხვა მსგავსი პროდუქტები	შეცვლილი სუნი და გემო, მავნებლებით დაბინძურება	სენსორული ანალიზი, ვიზუალური შეფასება
20.	სწრაფი მომზადების პროდუქტები, დაფასოებული (მშრალი სუპები, ფაფები)	შეფუთვის დარღვევა	ვიზუალური შეფასება
21.	ღრმად გაყინული სურსათი	შენახვის და ტრანსპორტირების ტემპერატურის დარღვევა	ტემპერატურის კონტროლი (-18^{0}C)

DRAFT